კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოს ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდის (www.nea.gov.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 8 ივლისი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. #4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - გარემოს ეროვნული სააგენტო

www.nea.gov.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
47,62%
62,50%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
50,00%
14,25%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
80,00%
26,00%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
25,93%
13,43%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
14,29%
14,00%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
7,14%
20,00%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
20,00%
12,00%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
0,00%
0,00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
12,50%
18,00%
0,00%
20,00%
40,00%
60,00%
80,00%
100,00%

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოს ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

1. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს უფროსის ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები და კომპეტენციის აღწერა, აგრეთვე იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან სააგენტოს უფროსს. აგრეთვე არ მოიძიება სააგენტოს უფროსის არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტი - სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები:



2. გარემოს ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს უფროსის მოადგილეების ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, მათი კომპეტენციის (უფლება-მოვალეობების) აღწერა. აგრეთვე არ მოიძიება სააგენტოს უფროსის მოადგილეთა არცერთი საკონტაქტო რეკვიზიტი: სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები:

3. სააგენტოს სრული სახელწოდებაა „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გარემოს ეროვნული სააგენტო“, თუმცა ვებ-გვერდზე არ არის მოცემული სააგენტოს სრული დასახალება. ვებ-გვერდზე აგრეთვე არ მოიძიება ოფიციალურობის დამადასტურებელი

წერილობითი აღნიშვნა, სააგენტოს შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა და სააგენტოს მიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი.

4. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს სრული სარეკვიზიტო ცნობარი (ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფის სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტა, საფოსტო მისამართი და ფაქსის ნომრები). ვებ-გვერდზე აგრეთვე არ მოიძიება მსგავსი კომპეტენციის საჯარო დაწესებულებების ჩამონათვალი და მათ ვებ-გვერდებზე გადასასვლელი ბმულები. აღსანიშნავია, რომ გარემოს დაცვის სამინისტრო - გარემოს ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე წარმოდგენილია მოძველებული სახელწოდებით, ხოლო განყოფილებაში - „კონტაქტი“ მოყვანილ ტელეფონის ნომრებს არ გააჩნიათ მითითება, რომ აღნიშნული საკონტაქტო ნომრები ეკუთვნიან სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს:



- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

5. მართალია გარემოს ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე არსებობს ქვე-განყოფილება „სააგენტოს სტრუქტურა“, თუმცა მასში განთავსებულია სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფების არასრული და მოძველებული ჩამონათვალი. სააგენტოს მოქმედი დებულების თანახმად სააგენტოს გააჩნია ხუთი სტრუქტურული ქვედანაყოფი, აქედან ერთი („გეოლოგიური საშიშროების მართვის დეპარტამენტი“) მოყვანილია ძველი სახელწოდებით, „გარემოსდაცვითი ინფორმაციის სამსახური“ კი საერთოდ არ არის სახეზე:



6. გარემოს ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე აგრეთვე არ მოიძიება შემდეგი სახის მნიშვნელოვანი ინფორმაცია კერძოდ:

- არ მოიძიება სააგენტოს სტრუქტურული ხე;
- არ მოიძიება სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები;
- არ მოიძიება სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, მათი კომპეტენციის აღწერა, სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

- **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

7. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ისეთი მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები, როგორებიცაა: ხელშეკრულებათა ბაზა, სააგენტოს საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშები, ვაკანსიებისა და ტენდერების არქივი, ფინანსური ხასიათის მაჩვენებლები და ა.შ.

8. ვებ-გვერდზე აგრეთვე არ მოიძიება შემოსული/გასული კორესპონდენციის რეგისტრი.

- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

9. არ მოიძიება გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის და მის მოადგილეთა გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები; არ მოიძიება ცნობები სააგენტოს უფროსის მოადგილეთა ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ.აგრეთვე არ მოიძიება სააგენტოს უფროსის და მისი მოადგილეების ამა თუ იმ ღონისძიებებში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია.

10. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს მმართველობის სფეროს მიკუთვნებული ამა თუ იმ დარგის განვითარების გეგმების აღწერა.

11. ვებ-გვერდზე არ მოიძიება გარემოს ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ამსახველი ერთიანი წლიური ანგარიში.

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

12. მართალია გარემოს ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე არსებობს განყოფილება „საკანონმდებლო ბაზა“, თუმცა მასში განთავსებული ყველა სამართლებრივი აქტი მოცემულია ძველი მდგომარეობით. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს საქმიანობის სფეროსთან და საქმიანობის ორგანიზაციასთან დაკავშირებული საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის, მინისტრის (მოიძიება მხოლოდ ორი სამართლებრივი აქტი) და სააგენტოს უფროსის სამართლებრივი აქტები და სამართლებრივი აქტების პროექტები. აღსანიშნავია ისიც, რომ განყოფილებაში „კანონმდებლობა“ განთავსებული სამართლებრივი აქტების რაოდენობა ძალზედ მწირია:

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

13. ინფორმაცია გარემოს ეროვნული სააგენტოს საქმიანობის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის თავისუფლებასთან / საჯარო ინფორმაციის ღიაობასთან საერთოდ არ არის წარმოდგენილი: ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია,საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და სააგენტოში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე, ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

14. ვებ-გვერდზე არ მოიძიება გარემოს ეროვნულ სააგენტოში ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

15. მართალია გარემოს ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერზე არსებობს განყოფილება „ტენდერები“, თუმცა აღნიშნული განყოფილება ცარიელია:



16. ვებ-გვერდზე აგრეთვე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა სააგენტოსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე სააგენტოსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

17. ვებ-გვერდზე არ არსებობს განყოფილება „ვაკანსიები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა გარემოს ეროვნულ სააგენტოში ვაკანტურ თანამდებობათა და ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესი, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (სააგენტოს მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

18. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი გარემოს ეროვნული სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებული სახის ფინანსური ხასიათის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება სააგენტოსთვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება სააგენტოს ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია;

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო განრიგი/ სააგენტოს კონკრეტულ საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება სააგენტოს სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე);

- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ სააგენტოსთვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა; მართალია სააგენტოს ვებ-გვერდზე განყოფილებაში „პროექტები“ განთავსებულია ინფორმაცია პროექტების შესახებ, რომელთა დაფინანსების სახეა გრანტი, თუმცა აღნიშნულის შესახებ სააგენტოს ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფინანსური სახის არანაირი ინფორმაცია:

მიმდინარე პროექტები

საქართველო-ფინეთის პროექტი "გარემოს მონიტორინგისა და მენეჯმენტის სისტემების განვითარება საქართველოში"

დასახელება: "ევროპისა და ცენტრალური აზიის კლიმატის ცვლილებების შესამცირებელ ღონისძიებათა შესახებ" 2006-2009წწ
დონორი ორგანიზაცია: კანადის საერთაშორისო განვითარების ასოციაცია, დაფინანსების სახე - გრანტი რომლის ადმინისტრირებას ახორციელებს მსოფლიო ბანკი;
პროექტის მიზანი: გარემოს ეროვნულ სააგენტოში წყალდიდობის მონიტორინგის საპილოტო ქსელის შექმნა, საჭირო საზომი სამუალებების დამონტაჟება, მოსახლეობის მიერ მონიტორინგის განხორციელება, წყალდიდობის რისკის შესახებ გაფრთხილების მომზადებისა და მასზე რეაგირების მიზნით; საქართველოში განხორციელებული პილოტური ქმედებების საფუძველზე რეგიონის მასშტაბით რეკომენდაციების შექმნა და წყალდიდობის მონიტორინგის მოდელების შემუშავება.

დასახელება: II ფაზა ტრანსსასაზღვრო მდინარეების მონიტორინგი 2008-2010
დონორი ორგანიზაცია: EU, TACIS
პროექტის მიზანი: გრძელვადიან პერიოდში, ინსპექტირებისა და ნებართვების გამცემი ორგანოს და ინტეგრირებული წყლის რესურსების მართვის მონიტორინგის ერთეულების შესაძლებლობების გაძლიერება; ტრანს-ეროვნული ორგანიზაციული მონიტორინგის სტრუქტურების და სისტემების განვითარების ხელშეწყობა.

- არ მოიძება პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან სააგენტოსთვის გამოყოფილი თანხების ოდენობის შესახებ ინფორმაცია.

2010 წელს განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში გარემოს ეროვნული სააგენტოსათვის გაწეული რეკომენდაციები და დამატებითი ჩატარებული უშუალო კონსულტაციები სააგენტოს მიერ არ იქნა გათვალისწინებული.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
88,89%
2. ძიება
20,00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
37,50%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
25,00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
46,67%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0,00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
47,37%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
14,29%
9. ელექტრონული ჩართულობა
0,00%
10. ელექტრონული სერვისები
0,00%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0,00%
12. უსაფრთხოება
33,33%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
25,00%
0
0,1
0,2
0,3
0,4
0,5
0,6
0,7
0,8
0,9

- **ნავიგაცია**

ნავიგაციის ფერები ძალიან ცუდად არის არჩეული, რთულია სიტყვების გარჩევა



- **ძიება**

ძიების შედეგები სიტყვა „ამინდი“-ით გადანაწილდა 2 გვერდზე, როგორც ვებ-გვერდზეა ნაჩვენები:



თუმცა მეორე გვერდი არის ცარიელი. ეს უხეში შეცდომაა და აუცილებლად უნდა გამოსწორდეს. ალგორითმმა წინასწარ უნდა გაითვალისწინოს რამდენ გვერდზე გადანაწილდება ინფორმაცია და მის მიხედვით უნდა დაწეროს გვერდების რაოდენობა.

- **მარტივად აღქმის კრიტერიუმები**

ვებ-გვერდის ქართულ ვერსიაში ისეთი სიტყვები როგორიც არის, სიახლეები, ფოტო გალერეა და სხვა აუცილებლად უნდა იყოს Sylfaen-ით დაწერილი და ლათინური ასოებით:

- **საკონტაქტო ფორმები და წესები**

საკონტაქტო ელ.ფოსტა არის საერთოდ სხვა დომენზე:



ელ.ფოსტა აუცილებლად გაწერილი უნდა იყოს nea.gov.ge-ზე;

საკონტაქტო ფორმიდან ელ.ფოსტის გაგზავნის შემდეგ გამოდის შემდეგი გვერდი:



საკონტაქტო მოდული აშკარად ჩანს რომ არ არის შემოწმებული.

- **ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა**

ვებ-გვერდის დოკუმენტებში გამოყენებულია ისეთი ფონტები, რომლებიც ყველა ოპერაციულ სისტემას არ მოყვება, მაგალითად:



ვებ-გვერდზე შეიმჩნევა უხეში ხარვეზები - კერძოდ HTML (ვებ-გვერდის სტრუქტურის) კოდის დარღვევა:



ეს არის აუცილებლად უნდა გამოსწორდეს CSS - ის საშუალებით (CSS ენა განკუთვნილია ვებ-გვერდზე სტრუქტურის შესაქმნელად)

- **სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი**

ვებ-გვერდზე არსებობს ბანერები, რომლებსაც არასწორად აქვთ გაწერილი ბმული (ვებ-გვერდის მისამართი):

ამ ბანერზე დაჭერით გადავდივართ შემდეგზე: http://www.http.com//www.ecmwf.int/

ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდს აშკარად ეტყობა რომ არის უხარისხოდ გაკეთებული, არ არის შემოწმებული ფუნქციები და ზოგადად არ არის პროგრამულად /სტრუქტურულად დახვეწილი. თანამედროვე ტენდენციებზე და სოციალურ ქსელებთან ინტეგრაციაზე სამწუხაროდ საერთოდ ვერ ვისაუბრებთ ამ ეტაპზე, რადგან პირველ რიგში ვებ-გვერდზე გასასწორებელია ელემენტარული ტექნიკური შეცდომები.